ᲐᲘ ᲡᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ
ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐ

☎ 220 33 33 | www.icgroup.ge
www.facebook.com/ICG.Insurance

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘ
ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝ ᲒᲖᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲘ ᲡᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐ







ᲐᲕᲢᲝᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲘᲡᲙᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ

ავტოტრანსპორტის და მის მართვასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის პირობები

№ ICG/ AUTO/ RETAIL/14-V2

დაზღვევის ეს პირობები შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და საკითხები, რომლებიც არ განისაზღვრება ამ დაზღვევის პირობებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით

სარჩევი

სექცია I. ზოგადი ტერმინები **2**

სექცია II. ავტოტრანსპორტის ძარის დაზღვევის პირობები **3**

1. ტერმინთა განმარტება 3
2. დაფარვა 4
3. გამონაკლისები 4
4. ანაზღაურების ოდენობა 5
5. თქვენი ვალდებულებები 6

სექცია III. მესამე პირის (პირთა) წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობები **7**

1. ტერმინთა განმარტება 7
2. დაფარვა 7
3. ანაზღაურების ოდენობა 7
4. გამონაკლისები 8

სექცია IV. მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის პირობები **9**

1. ტერმინთა განმარტება 9
2. დაფარვა 9
3. ერთ პირზე ანაზღაურების ოდენობა 9
4. გამონაკლისები 10

სექცია V. საერთო პირობები **11**

1. საერთო გამონაკლისები 11
2. რა არის და როგორ განისაზღვრება სადაზღვევო თანხა და ფრანშიზა 12
3. პრემიის გადახდა 12
4. ცვლილება დაზღვევის ხელშეკრულებაში 13
5. სადაზღვევო ხელშეკრულების შეწყვეტა/გაუქმება 13
6. სადაზღვევო აქტი 14
7. თქვენი ვალდებულებები/როგორ მოვიქცეთ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას 14
8. როგორ ხდება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა 16
9. სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარის თქმა 17
10. დავების განხილვის წესი 18
11. კონფიდენციალურობა 18

სექცია VI. დამატებითი დაფარვები **18**

ავტოტრანსპორტის და მის მართვასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის პირობები

წინამდებარე პირობები ძალაშია ჩვენს მიერ გაცემულ პოლისთან ერთად. პოლისის გარეშე წინამდებარე პირობებს იურიდიული ძალა არ გააჩნია.

სექცია I. ზოგადი ტერმინები

წინამდებარე დაზღვევის პირობების მიზნებისათვის ტექსტში გამოყოფილ სიტყვებს/ტერმინებს ამ ავტოტრანსპორტის დაზღვევის ყველა სექციისათვის ენიჭება ქვემოთ მოყვანილი მნიშვნელობა. ხოლო ტერმინები, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ რომელიმე ერთი სახის დაზღვევისათვის, მოცემულია შესაბამისი სექციების მიხედვით.

ავტოსაგზაო შემთხვევა - საავტომობილო გზაზე **ავტოტრანსპორტის** მოძრაობის შედეგად და მისი მონაწილეობით წარმოქმნილი მოვლენა, რომლის დროსაც დაშავდა ან დაიღუპა ადამიანი, დაზიანდა სატრანსპორტო საშუალება, ტვირთი, ნაგებობა;

აქსესუარები – დისკები, სარკეები, სენსორიანი მონიტორი, GPS da SRS სისტემები, კანტები, მოლდინგი, დამცავი ბუფერი, ნიკელის გარეთა ნაკეთობები, გარდა სათადარიგო ნაწილებისა;

ახალგაზრდა მძღოლი - პოლისში განსაზღვრული ასაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი მძღოლი;

გამომუშავებული სადაზღვევო პრემია – სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, **სადაზღვევო პერიოდის** დასაწყისიდან ასეთ თარიღამდე განვლილი დროის მონაკვეთის შესაბამისი, **პრემიის** ოდენობა;

გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, **სადაზღვევო პერიოდის** ამოწურვამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის შესაბამისი, **პრემიის** ოდენობა;

გამოუცდელი მძღოლი - პოლისში განსაზღვრული გამოცდილების ზღვარს ქვემოთ მყოფი მძღოლი;

დაზღვევის მოქმედების პერიოდი (სადაზღვევო პერიოდი) – პოლისში განსაზღვრული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც **თქვენი ავტოტრანსპორტი** დაზღვეულია და რომლის განმავლობაში დამდგარი შემთხვევები ექვემდებარება ანაზღაურებას;

დაზღვევის ტერიტორია - პოლისში მითითებული ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც **ავტოტრანსპორტთან** დაკავშირებით მომხდარი შემთხვევები ექვემდებარება ანაზღაურებას;

დაზღვევის ხელშეკრულება - დოკუმენტი, რომელიც აწესრიგებს დაზღვევის გაფორმების შედეგად **ჩვენ** და **თქვენს** შორის წარმოშობილ უფლება-მოვალეობებს და რომელიც შედგება **სადაზღვევო განაცხადის**, **პოლისის** და წინამდებარე პირობებისგან (სადაზღვევო პირობები);

დაზღვეული ავტოტრანსპორტი (ავტოტრანსპორტი) - პოლისში მითითებული და **თქვენს/მოსარგებლის** მფლობელობაში არსებული ავტოტრანსპორტი;

ერთჯერადი ლიმიტი - გულისხმობს **პოლისით** გათვალისწინებულ თანხობრივ ლიმიტს, რომლის გამოყენებისთანავე (მიუხედავად იმისა ასეთი ლიმიტი სრულად გაიხარჯა, თუ - არა) იგი სრულად ამოწურულად ითვლება;

თქვენ, თქვენი – დამზღვევი – პირი, რომელიც აზღვევს **ავტოტრანსპორტს** და რომელთანაც

უშუალოდ ფორმდება **დაზღვევის ხელშეკრულება** და რომლის ვალდებულებასაც წარმოადგენს **სადაზღვევო პრემიის** გადახდა;

მოსარგებლე – პოლისში დასახელებული ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომისას მიიღებს **სადაზღვევო ანაზღაურებას**;

სადაზღვევო ანაზღაურება – თანხა, რომელიც **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომისას, გაიცემა **ჩვენს** მიერ **თქვენი**, **მოსარგებლის**, დაზარალებულის ან მისი მემკვიდრის სახელზე;

სადაზღვევო განაცხადი (განაცხადი) – ჩვენს მიერ დადგენილი ფორმით **თქვენს** მიერ შევსებული კითხვარი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას დასაზღვევი ავტოტრანსპორტის, **უფლებამოსილი მძღოლებისა** და სხვა **ჩვენთვის** საინტერესო გარემოებების შესახებ;

სადაზღვევო თანხა/სადაზღვევო ლიმიტი/ჯამური სადაზღვევო ლიმიტი - პოლისში განსაზღვრული, დაზღვევის თითოეული სექციისთვის **სადაზღვევო ანაზღაურების** მაქსიმალური ოდენობა, **მზღვეველის** პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტი;

სადაზღვევო პოლისი (პოლისი) - ჩვენს მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს **დაზღვევის ხელშეკრულების** დადებას წინამდებარე პირობების შესაბამისად და ასახავს **დაზღვევის ხელშეკრულების** ძირითად პირობებს;

სადაზღვევო პრემია (პრემია) - თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოთ **ავტოტრანსპორტის** დაზღვევის შესაძენად;

სადაზღვევო შემთხვევა – შემთხვევა, რომლის დადგომის შედეგად წარმოიშვება **ჩვენი** ვალდებულება ავანაზღაუროთ ზარალი **დაზღვევის ხელშეკრულების** პირობების შესაბამისად;

უფლებამოსილი მძღოლი – პირი/ები, რომელიც **პოლისში** განსაზღვრულია როგორც **უფლებამოსილი მძღოლი** და რომლის მართვის დროსაც **ავტოტრანსპორტის** დაზღვევა ძალაშია;

ფრანშიზა (არანაზღაურებადი მინიმუმი) – თანხა, რომელიც არ ექვემდებარება **მზღვეველის** მიერ ანაზღაურებას და რომელიც აკლდება ზარალის თანხის ოდენობას;

ჩვენ, ჩვენი – მზღვეველი - შპს "სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფი";

ცვეთა - ავტოტრანსპორტის ცალკეული ნაწილების ბუნებრივი გაუფასურება, რომლის ოდენობაც განისაზღვრება წლიური 10%-ით ავტოტრანსპორტის გამოშვების მესამე წლიდან, მაგრამ არაუმეტეს ახალი ნაწილის ღირებულების 30%-ის.

სექცია II. ავტოტრანსპორტის ძარის დაზღვევის პირობები

1. ტერმინთა განმარტება

ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულება – ფულადი თანხა, რომელიც საჭიროა ადგილობრივ ბაზარზე **ავტოტრანსპორტის** ანალოგიური მარკის, მოდელის და სხვა მახასიათებლების მქონე სატრანსპორტო საშუალების შესაძენად;

სრული დაზიანება (განადგურება) – ჩვენ შეგვიძლია მივანიჭოთ **ავტოტრანსპორტს** სრული დაზიანების სტატუსი, როცა მის აღსადგენად **სადაზღვევო თანხის** 60%-ზე მეტია საჭირო;

ვანდალიზმი – ამ დაზღვევის მიზნებისათვის ვანდალიზმი ნიშნავს მესამე პირის მიერ **ავტოტრანსპორტის** განზრახ დაზიანებას ან განადგურებას. სადაზღვევო დაფარვა ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებზე, როდესაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე;

ქურდობა - ავტოტრანსპორტის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით;

ძარცვა - ავტოტრანსპორტის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით;

ყაჩაღობა - ავტოტრანსპორტის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით;

მესამე პირის გაუფრთხილებელი ქმედება - მესამე პირის ისეთი ქმედება, რომელსაც არ ჰქონდა არანაირი მოტივი და მოხდა შემთხვევით, უბრალო დაუდევრობის გამო.

2. დაფარვა

2.1 **ავტოტრანსპორტის** დაზიანება ან მთლიანი განადგურება, რომელიც გამოწვეულია **პოლისში** მითითებული დაზღვეული რისკით;

2.2 **ავტოტრანსპორტის** დაკარგვა **ქურდობის, ძარცვის** ან **ყაჩაღობის** შედეგად, თუ **თქვენს** მიერ შეძენილია შესაბამისი - **ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობისაგან** - დაფარვა;

2.3 **ავტოტრანსპორტის** რომელიმე ნაწილის დაკარგვა **ვანდალიზმის, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის** ან მათი მცდელობის შედეგად, თუ **თქვენს** მიერ შეძენილია დაფარვა **„აქსესუარები“, ერთჯერადი ლიმიტის** $1500 ფარგლებში.

3. გამონაკლისები

3.1 არ ანაზღაურდება ზარალი, რომელიც შედეგად მოჰყვა:

- გასაღების **ავტოტრანსპორტში/ზე** დატოვებას;
- გასაღების არაუფლებამოსილი მძღოლისათვის გადაცემას;
- შუშების ჩაწეულ მდგომარეობაში ან/და კარების ღიად დატოვებას;
- **ავტოსაგზაო შემთხვევამდე** არსებულ მუხრუჭების მექანიკურ ან ელექტრონულ წუნს/დაზიანებას.

3.2 ასევე არ ანაზღაურდება:

- ზარალი, რომელიც გამოწვეულია **ავტოტრანსპორტის** დაკარგვით **ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის** შედეგად, თუ **პოლისში** მითითებული გატაცების საწინააღმდეგო სისტემა არ იყო დაყენებული ან იმყოფებოდა გამოუსადეგარ მდგომარეობაში;
- **ცვეთის,** მიმდინარე შეკეთების, პროფილაქტიკური მომსახურების ხარჯები;
- **დაზღვევის ტერიტორიის** ფარგლებს გარეთ განხორციელებული შეკეთების ხარჯები;
- საბურავებთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საბურავ(ებ)ის დაზიანება შედეგად მოყვება დაზღვეულ რისკებს და **ავტოტრანსპორტის** სხვა ნაწილების დაზიანების შედეგად ზარალის თანხა აღემატება შესაბამის **ფრანშიზას**;
- **ავტოტრანსპორტის** გაუფასურება შეკეთების შედეგად, მიუხედავად იმისა ასეთი შეკეთება **სადაზღვევო შემთხვევასთან** დაკავშირებით ჩატარდა თუ არა;
- შემთხვევა **ქურდობის** რისკზე, თუ ასეთის დროს **ავტოტრანსპორტის** სარეგისტრაციო მოწმობა დატოვებული იყო გატაცებულ **ავტოტრანსპორტში**;
- გაჩერებული **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** დაუდგენელი პირის მიერ ან დაუდგენელ ვითარებაში დაზიანება/განადგურება, რა დროსაც **თქვენ** დაუყოვნებლივ არ დაგვიკავშირდით **ჩვენ** და/ან დაძარით **ავტოტრანსპორტი** შემთხვევის ადგილიდან **ჩვენი**

წარმომადგენლების მოსვლამდე და მათ მიერ სიტუაციის შესწავლამდე (შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ფოტოგრაფირება);
- დაუზღვეველი რისკით გამოწვეული **ავტოტრანსპორტის** დაზიანება/დაკარგვა/ განადგურება;
- **ავტოტრანსპორტის** დაზიანება/სრული განადგურება **ავტოსაგზაო შემთხვევის** შედეგად, როდესაც იგი იმართებოდა არაუფლებამოსილი მძღოლის მიერ;
- **ავტოტრანსპორტის** საქარხნო კომპლექტაციისგან განსხვავებული **აქსესუარების** შეძენისა და დაყენების ხარჯები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი აქსესუარები დაზღვევის ძალაში შესვლის მომენტისათვის დაყენებული იყო **ავტოტრანსპორტზე** და როცა შეძენილია დაფარვა „აქსესუარები“.**ავტოტრანსპორტის სადაზღვევო შემთხვევის** დადგომამდე არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გაწეული ხარჯები.

4. ანაზღაურების ოდენობა

4.1 ქურდობის, ძარცვის ან ყაჩაღობის შედეგად ავტოტრანსპორტის დაკარგვის შემთხვევაში:

თქვენ მიიღებთ **სადაზღვევო შემთხვევის** მომენტისათვის **ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულების** შესაბამის თანხას, მაგრამ არაუმეტეს **სადაზღვევო თანხისა ფრანშიზის** გამოკლებით; ან **ჩვენ**, **ჩვენი** შეხედულებისამებრ, **თქვენს** სასარგებლოდ შევიძენთ ანალოგიურ (მარკის, მოდელისა და სხვა მახასიათებლების შესაბამის) ავტოტრანსპორტს **სადაზღვევო თანხის** ფარგლებში, **ფრანშიზის** გამოკლებით.

4.2 ავტოტრანსპორტის სრული დაზიანების (განადგურების) შემთხვევაში:

თქვენ მიიღებთ **სადაზღვევო შემთხვევის** მომენტისათვის **ავტოტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულების** შესაბამის თანხას, მაგრამ არაუმეტეს **სადაზღვევო თანხისა**, **ფრანშიზის** გამოკლებით; ან **ჩვენ**, **ჩვენი** შეხედულებისამებრ, **თქვენს** სასარგებლოდ შევიძენთ ანალოგიური მარკის, მოდელისა და სხვა მახასიათებლების ავტოტრანსპორტს **სადაზღვევო თანხის** ფარგლებში, **ფრანშიზის** გათვალისწინებით.

4.3 ავტოტრანსპორტის ნაწილობრივი დაზიანებისას:

იმ შემთხევევაში, თუ **ავტოტრანსპორტის** ხნოვანება 3 წელს აღემატება და შეძენილი არ არის **VIP სერვისი:**

- **ჩვენ** უფლებამოსილი ვართ დავაყენოთ მეორადი მოხმარების ნაწილები. ახალი ნაწილების დაყენების მოთხოვნის შემთხვევაში **ჩვენ** უფლებამოსილი ვართ აგინაზღაუროთ **თქვენ** მათი საფასური **ცვეთის** კოეფიციენტის გათვალისწინებით.

- იმ შემთხვევაში, თუ **თქვენთან** შეთანხმებით **ავტოტრანსპორტი ჩვენს** მიერ მითითებულ შემკეთებელ პუნქტში იქნა გადაყვანილი შესაკეთებლად/სარემონტოდ, **თქვენ** გადაიხდით მხოლოდ **ფრანშიზით** და **ცვეთით** გათვალისწინებულ თანხას, ხოლო დანარჩენი ხარჯები **თქვენი** თანხმობით (რაც დასტურდება ზიანის ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილებაზე **(სადაზღვევო აქტი) თქვენი** ხელმოწერით) **ჩვენს** მიერ აუნაზღაურდება უშუალოდ შემკეთებელ პუნქტს.

- თუ **თქვენ** არ გსურთ **ჩვენს** მიერ შემოთავაზებულ შემკეთებელ პუნქტში **ავტოტრანსპორტის** გადაყვანა, **ჩვენ** გავცემთ **სადაზღვევო ანაზღაურებას** მას შემდეგ, რაც **თქვენ** წარმოგვიდგენთ ხარჯთაღრიცხვას (ანგარიშფაქტურას, ინვოისს), თუმცა, **ჩვენ** უფლებამოსილი ვართ გავცეთ **ჩვენი** შემკეთებელი პუნქტის მიერ მოწოდებული გაანგარიშების ფარგლებში, **ფრანშიზისა** და **ცვეთის** გათვალისწინებით.

  ზემოხსენებული წესი არ გავრცელდება 3 წელზე ნაკლები ხნოვანების **ავტოტრანსპორტზე** და **ავტოტრანსპორტზე**, რომელიც დაზღვეულია **VIP სერვისით.**

4.4 თუ **ავტოტრანსპორტი სადაზღვევო შემთხვევის** გამო ვერ გადაადგილდება საკუთარი სვლით, **ჩვენ** გადავიყვანთ დაზიანებულ **ავტოტრანსპორტს** შეთანხმებულ შემკეთებელ პუნქტამდე.

4.5 თუ **სადაზღვევო თანხა** ნაკლებია **ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულებაზე სადაზღვევო შემთხვევის** დადგომის მომენტისათვის, ანუ ადგილი აქვს შემცირებულ (არასრულ) დაზღვევას, **სადაზღვევო ანაზღაურების** გამოანგარიშებისას გამოიყენება პროპორციულობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს ანაზღაურების გაცემას იმ პროპორციით რა პროპორციაშიც არის **სადაზღვევო თანხა** დაზღვევის მომენტისათვის **ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულებასთან**. ამასთან, **ფრანშიზა** გამოიქვითება პროპორციულობის მეთოდის მიყენების შემდეგ.

4.6 იმ შემთხვევაში, თუ **ავტოტრანსპორტის** დაკარგვა/განადგურებამდე გაცემული იყო ანაზღაურება და არ მოხდა **სადაზღვევო თანხის** აღდგენა, ასანაზღაურებელ თანხას გამოაკლდება უკვე გაცემული თანხა.

4.7 **სადაზღვევო ანაზღაურების** გაცემისას საკუთრების უფლება დაზიანებულ **ავტოტრანსპორტზე** გადმოგვეცემა **ჩვენ**. შესაბამისად, **თქვენ** ვალდებული ხართ ხელი მოაწეროთ ყველა იმ დოკუმენტს და შეასრულოთ ყველა მოქმედება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და აუცილებელია აღნიშნული მიზნისათვის.

ხსენებული უფლების რეალიზაცია **ჩვენს** მიერ შეიძლება განხორციელდეს **ავტოტრანსპორტზე** საკუთრების უფლების **ჩვენზე** გადმოსვლით, ან **თქვენს** მიერ **ავტოტრანსპორტის** რეალიზაციის შემთხვევაში, ფულადი ფორმით თანხის მიღების გზით. ამასთან, **ავტოტრანსპორტის** რეალიზაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს **თქვენ** წინასწარ ათანხმებთ **ჩვენთან**.

4.8 თუ **თქვენი ავტოტრანსპორტი** ერთდროულად რამდენიმე მზღვეველთან დააზღვიეთ (ორმაგი დაზღვევა), **თქვენ** ვალდებული ხართ ამის თაობაზე დაუყოვნებლივ გვაცნობოთ და შესაბამის წერილობით შეტყობინებაში აღნიშნოთ სხვა მზღვეველების ვინაობა და **სადაზღვევო თანხის** ოდენობა. თუ **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომის მომენტისათვის **ავტოტრანსპორტი** რამდენიმე მზღვეველთან აღმოჩნდება დაზღვეული ერთი და იმავე რისკისაგან და **სადაზღვევო თანხები** ჯამში საბაზრო ღირებულებას აჭარბებს, მაშინ მზღვეველები მოვალენი ვიქნებით **თქვენს** წინაშე, როგორც სოლიდარული მოვალეები იმ თანხის ფარგლებში, რაც **ჩვენ** (მზღვეველებს) **თქვენთან** დადებული ხელშეკრულებით გვაქვს გაფორმებული, მაგრამ **თქვენ** არა გაქვთ უფლება, მიიღოთ ჯამში რეალურ ზიანზე მეტი თანხა.

ამასთან, თუკი **თქვენ** განახორციელებთ ორმაგ დაზღვევას მართლსაწინააღმდეგო შემოსავლის მიღების მიზნით და დადასტურდება, რომ წინამდებარე დაზღვევის პირობები და **სადაზღვევო პოლისი თქვენს** მიერ გაფორმებულია მართლსაწინააღმდეგო შემოსავლის მიღების მიზნით, მაშინ ეს პირობები და შესაბამისი **პოლისი** ჩაითვლება ბათილად და **თქვენ** არ დაგიბრუნდებათ გამოუმუშავებელი **პრემია.**

5. თქვენი ვალდებულებების შესახებ

საერთო ნაწილში ჩამოთვლილ ვალდებულებებთან ერთად, ამ სექციით გათვალისწინებული დაზღვევის მიზნებისათვის, **თქვენ** ვალდებული ხართ:

5.1 **ჩვენი** მხრიდან გატაცების საწინააღმდეგო სისტემის დაყენებაზე მოთხოვნისთანავე აღჭურვოთ **ავტოტრანსპორტი** ამგვარი სისტემით და უზრუნველყოთ მისი გამართულ სამუშაო მდგომარეობაში ყოფნა. ხოლო, თუ გატაცების საწინააღმდეგო სისტემა დამონტაჟდება **სადაზღვევო პოლისის** გაფორმების შემდეგ, **თქვენ** უნდა წარმოგვიდგინოთ ამგვარის დამადასტურებელი საბუთი;

5.2 **ავტოტრანსპორტის** მეთვალყურეობის გარეშე დატოვების შემთხვევაში, ჩაკეტოთ იგი და დარწმუნდეთ, რომ ყველა გატაცების საწინააღმდეგო სისტემა ჩართულია;

5.3 გამოიყენოთ **ავტოტრანსპორტი** მხოლოდ **პოლისში** მითითებული დანიშნულებით და დაიცვათ ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების ინსტრუქციები;

5.4 არ დატოვოთ **ავტოტრანსპორტის** სარეგისტრაციო საბუთები **ავტოტრანსპორტში;** სარეგისტრაციო საბუთების **ქურდობის**, ან სხვა გზით დაკარგვის შესახებ დაუყოვნებლივ შეგვატყობინოთ **ჩვენ** და პოლიციას.

სექცია III. მესამე პირის (პირთა) წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობები

1. ტერმინთა განმარტება

დაზღვეული პირი - თქვენ, უფლებამოსილი მძღოლი.

2. დაფარვა

სადაზღვევო შემთხვევას წარმოადგენს **უფლებამოსილი მძღოლის** მიერ დაზღვევის მოქმედების პერიოდში **ავტოტრანსპორტის** მართვის შედეგად მესამე პირების სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისათვის მიყენებული ზიანი.

3. ანაზღაურების ოდენობა

3.1 **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომის დადასტურების შემთხვევაში, **სადაზღვევო ლიმიტის** ფარგლებში, წინამდებარე პირობების გათვალისწინებითა და **თქვენსა** და **ჩვენს** შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, ანაზღაურდება შემდეგი:

- დაზარალებული მესამე პირების სიცოცხლის და/ან ქონების გადასარჩენად ან ზიანის შესამცირებლად გაწეული მიზანშეწონილი ხარჯები;

- მესამე პირის პრეტენზიებთან დაკავშირებული სასამართლო ან სასამართლოს გარეშე პრეტენზიის განხილვის ხარჯები, აგრეთვე **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომის გარემოებებისა და ზარალის ოდენობის დადგენის ხარჯები (აღნიშნული ხარჯების ანაზღაურება ხდება **პოლისში** მითითებული **ჯამური სადაზღვევო ლიმიტის** 20% ის ფარგლებში), თუ ისინი წერილობით იყო **ჩვენთან** შეთანხმებული;

- დაზარალებული პირისათვის კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გადასახდელი კომპენსაცია;

- სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მესამე პირი(ებ)სათვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია, თუ ამგვარი კომპენსაციის ოდენობა წერილობითი გზით შეთანხმებულია **ჩვენთან** და თუ დაზარალებული წერილობით დაადასტურებს, რომ მას არ გააჩნია არავითარი შემდგომი პრეტენზია **სადაზღვევო შემთხვევასთან** დაკავშირებით;

3.2 სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე კომპენსაციის ოდენობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს **პოლისით განსაზღვრულ ჯამურ სადაზღვევო ლიმიტს**, გამოანგარიშდება შემდეგი წესით:

- მესამე პირის გარდაცვალების ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში – მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა:

  ა) ხელფასი (შემოსავალი), რომელიც დაზარალებულმა დაკარგა, თუ იგი ნაწილობრივ ან სრულად შრომისუუნარო გახდა;
  ბ) დამატებითი ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია ჯანმრთელობის დაზიანებით, მათ შორის მკურნალობის, დამატებითი კვების, მედიკამენტების, პროთეზირების, ზედამხედველობისა და მოვლის, სპეციალური სატრანსპორტო საშუალების შეძენის, პროფესიული გადამზადების ხარჯები, თუ დადგენილია, რომ დაზარალებულს ესაჭიროება აღნიშნული ტიპის დახმარება და არ აქვს მათი უფასოდ მიღების უფლება;
  გ) ხელფასის (შემოსავლის) ნაწილი, რომელსაც დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში დაკარგავენ შრომისუუნარო პირები, რომლებიც დაზარალებულის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ ან უფლება ჰქონდათ მიეღოთ მისგან სარჩო (რეგულარული გადახდების სახით);

- თუ მესამე პირ(ებ)ს ქონებრივი ზიანი მიადგა, **ჯამური სადაზღვევო ლიმიტის** ფარგლებში, **ჩვენ** ავანაზღაურებთ:

  ა) ქონების სრული განადგურების შემთხვევაში – ქონების საბაზრო ან აღდგენითი ღირებულების ოდენობას, განადგურებული ქონების სპეციფიკის გათვალისწინებით, გაუფასურებისა და დარჩენილი დეტალების (რომელთა გამოყენებაც კიდევ შესაძლებელია) ღირებულების გამოქვითვით;
  ბ) ქონების ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში – დაზიანებამდე არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად საჭირო შეკეთების ხარჯებს;

3.3 ერთი **ავტოსაგზაო შემთხვევით** გამოწვეული პასუხისმგებლობა განხილული იქნება ერთ **სადაზღვევო შემთხვევად;**

3.4 მესამე პირ(ებ)ისადმი მიყენებული ზარალის ასანაზღაურებელი მთლიანი თანხა, შემთხვევების რაოდენობის მიუხედავად, არ შეიძლება აღემატებოდეს **პოლისით** ამ დაფარვისათვის გათვალისწინებულ **ჯამურ სადაზღვევო ლიმიტს;**

3.5 **პოლისში** ქველიმიტის არსებობის შემთხვევაში, **ანაზღაურების** ოდენობა იზღუდება ამგვარი ქველიმიტის გათვალისწინებით;

3.6 **სადაზღვევო შემთხვევით** გამოწვეული რამდენიმე ადამიანის სხეულის დაზიანების ან გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მთლიანი ზარალის ოდენობა აღემატება გამოსაყენებელ ლიმიტს, **ანაზღაურება** თითოეული დაზარალებულისათვის შემცირდება მიყენებული ზიანის საერთო ოდენობაში გამოსაყენებელი ლიმიტის წილის გათვალისწინებით.

4. გამონაკლისები

საერთო ნაწილში ჩამოთვლილ გამონაკლისებთან ერთად დაზღვევა არავითარ შემთხვევაში არ ვრცელდება:

4.1 ანაზღაურების იმ მოცულობაზე, რომელიც უნდა ყოფილიყო გაცემული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ფარგლებში მიუხედავად იმისა, შეძენილია ზემოხსენებული დაზღვევა თუ არა;

4.2 **ავტოტრანსპორტის მძღოლის** ან მგზავრების გარდაცვალებაზე ან მათი ჯანმრთელობისათვის მიყენებულ ზიანზე;

4.3 პიროვნების გარდაცვალებაზე ან სხეულის დაზიანებაზე, რომელიც **ავტოსაგზაო შემთხვევის** დროს იმყოფებოდა სამსახურებრივ/შრომით ურთიერთობაში **დაზღვეულ პირთან**;

4.4 **დაზღვეული პირების** ნათესავების გარდაცვალებაზე ან ჯანმრთელობისათვის მიყენებულ ზიანზე;

4.5 ნებისმიერი ქონებისათვის მიყენებულ ზიანზე, რომელიც წარმოადგენს **დაზღვეული პირის** საკუთრებას, მინდობილი საკუთრების სახით ინახება **თქვენთან**, გადაიზიდება **ავტოტრანსპორტით** ან **ავტოტრანსპორტზე** მიმაგრებული ნებისმიერი მისაბმელით;

4.6 პასუხისმგებლობაზე, რომელიც წარმოიშვა **დაზღვეული პირის** ნებისმიერი სხვა კონტრაქტის, შეთანხმების საფუძველზე;

4.7 დაზარალებული პირისათვის გადახდილი კომპენსაცია/დაზარალებული პირის წინაშე აღებული ან აღიარებული პასუხისმგებლობა, თუ ამგვარი მოხდა **ჩვენი** წერილობითი თანხმობის გარეშე;

4.8 არ ანაზღაურდება მესამე პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება/გარდაცვალება, თუ ასეთი შემთხვევა დადგება **ავტოსაგზაო შემთხვევის** მომენტიდან 12 კალენდარული თვის გასვლის შემდეგ.

სექცია IV. მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის პირობები

1. ტერმინთა განმარტება

დაზარალებული – ავტოტრანსპორტის უფლებამოსილი მძღოლი ან/და მგზავრი, რომელიც **სადაზღვევო პერიოდში** მომხდარი **ავტოსაგზაო შემთხვევის** შედეგად გარდაიცვლება ან რომლის ჯანმრთელობასაც მიადგება ზიანი;

უბედური შემთხვევა – უეცარი და მოულოდნელი მოვლენა, რომელმაც თავის მხრივ განაპირობა **უფლებამოსილი მძღოლისა** და/ან მგზავრების სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფა;

ლიმიტი ერთ პირზე – პოლისში განსაზღვრული, ერთ პირზე ანაზღაურების გადახდის ზღვრული ოდენობა;

დაინვალიდება – ადამიანის კიდურის/ორგანოს ფუნქციის სრული, მუდმივი და აღუდგენელი მოშლა ან ფიზიკური დაკარგვა (ფუნქციის მუდმივი მოშლა დგინდება **სადაზღვევო შემთხვევის** მომენტიდან 12 თვის თავზე).

2. დაფარვა

ამ სექციით იფარება **სადაზღვევო პერიოდის** განმავლობაში **ავტოტრანსპორტში** ჩაჯდომის/ყოფნის, **ავტოტრანსპორტიდან** გადმოსვლის დროს **უბედური შემთხვევის** შედეგად მძღოლის/მგზავრის სხეულის დაზიანება/ჯანმრთელობის გაუარესება/სიკვდილი.

3. ერთ პირზე ანაზღაურების ოდენობა

3.1 **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომის დადასტურების შემთხვევაში, თითოეულ **დაზარალებულზე** (ერთ პირზე) **პოლისით** განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, **ჩვენ** ავუნაზღაურებთ:

- **დაზარალებულს სადაზღვევო შემთხვევით** გამოწვეულ:
  - ა) გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობის ხარჯებს;
  - ბ) საავადმყოფომდე მიყვანის ხარჯებს;
  - გ) საავადმყოფოში მკურნალობისა და ყოფნის ხარჯებს;

დ) **დაინვალიდებაზე** გათვალისწინებულ კომპენსაციას შემდეგი ცხრილის მიხედვით:

მხედველობის სრული დაკარგვა, ან გადაადგილების უნარის სრული დაკარგვა, ან ორივე ხელის / ორივე ფეხის ფუნქციონირების სრული აღუდგენელი დაკარგვა, ან მეტყველების უნარის დაკარგვა გამოწვეული ხმის იოგების დაზიანებით, ან ქვედა ყბის მოცილება	100%
სმენის, ან ერთი ხელის / ფეხის ფუნქციონირების სრული აღუდგენელი დაკარგვა	50%
თითის დაკარგვა	5%
ელენთის ან თირკმლის დაკარგვა	20%

სხეულის რამდენიმე ნაწილის დაზიანებისას პროცენტები შეიკრიბება. თუმც, ჯამური ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს **სადაზღვევო ლიმიტს ერთ პირზე.** ანაზღაურება გაიცემა დაზიანების ხარისხის დადგენის შემდეგ.

სხეულის დაზიანებისთვის უკვე გადახდილი ხარჯები გამოიქვითება გარდაცვალებაზე გადასახდელი მთლიანი თანხიდან.

- **დაზარალებულის** სიკვდილის შემთხვევაში მის მემკვიდრეებს:

  ა) ერთ პირზე ლიმიტის 100%-ს, **დაზარალებულის** ჯანმრთელობის მდგომარეობის აღდგენისათვის უკვე გადახდილი თანხების გამოქვითვით.

- **დაზარალებულის** სიკვდილის შემთხვევაში ანაზღაურების მიმღების არარსებობისას **ჩვენ** ავანაზღაურებთ მხოლოდ დაკრძალვის ხარჯებს **ერთ პირზე ლიმიტის** ფარგლებში.

3.2 **დაზარალებული** პირის გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობისა და უახლოეს საავადმყოფოში ტრანსპორტირების ხარჯები გამოითვლება შესაბამისი სამედიცინო ქვითრების/დოკუმენტაციის საფუძველზე, მაგრამ არაუმეტეს 400 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარისა ერთ პირზე.

3.3 საავადმყოფოში მკურნალობაზე გონივრულად გაწეული, საავადმყოფოს ანგარიშ-ფაქტურით და სათანადო დოკუმენტაციით დასაბუთებული ხარჯები, მაგრამ არაუმეტეს ერთ პირზე დადგენილი პასუხისმგებლობის ლიმიტისა.

3.4 **სადაზღვევო შემთხვევით** გამოწვეული რამდენიმე ადამიანის მიერ სხეულის დაზიანების ან გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მთლიანი ზარალის ოდენობა აღემატება **ჯამურ სადაზღვევო ლიმიტს**), ანაზღაურება თითოეული **დაზარალებული** პირისათვის შემცირდება მიყენებული ზიანის საერთო ოდენობაში **ჯამური სადაზღვევო ლიმიტის** წილის გათვალისწინებით.

3.5 ამ სექციის მიხედვით ასანაზღაურებელი თანხა, შემთხვევების რაოდენობისა და ზარალის ოდენობის მიუხედავად, არ უნდა აღემატებოდეს **ჯამურ სადაზღვევო ლიმიტს**.

4. გამონაკლისები

არ ანაზღაურდება **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** მძღოლის და/ან მგზავრების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება/გარდაცვალება, თუ იგი დადგება **ავტოსაგზაო შემთხვევის** მომენტიდან 12 კალენდარული თვის გასვლის შემდეგ.

სექცია V. საერთო პირობები

1. საერთო გამონაკლისები

ქვემოთ მოცემული გამონაკლისები გამოიყენება ყველა დაზღვევასთან მიმართებაში. ზარალი, რომელიც მოყვა:

1.1 21 წელზე ახალგაზრდა მძღოლის ან/და მართვის მოწმობის არმქონე მძღოლის მიერ **ავტოტრანსპორტის** მართვას;

1.2 **ავტოტრანსპორტის** მართვისათვის გამოუსადეგარ მდგომარეობაში ყოფნას;

1.3 **ავტოსაგზაო შემთხვევას ახალგაზრდა/გამოუცდელი მძღოლის** ბრალით და შეძენილი არ იყო „მთელი ოჯახი საჭესთან“/“Lucky way“ დაფარვა;

1.4 **ავტოტრანსპორტის** ექსპლოატაციას/მართვას ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ნივთიერების/საშუალების ზემოქმედების ქვეშ;

1.5 **ავტოტრანსპორტის** მართვას არაუფლებამოსილი პირის მიერ, გარდა ქურდობა/ძარცვა/ყაჩაღობით ან მათი მცდელობით **ავტოტრანსპორტისათვის** მიყენებული დაზიანებისა;

1.6 **ავტოტრანსპორტის** გამოყენებას მგზავრთა/ტვირთის გადაყვანის მიზნით ან **ავტოტრანსპორტის** გაქირავებას, თუ ამგვარი გამოყენება არ არის ასახული **პოლისში** (შესაბამისი აღნიშვნა არ არის გრაფაში „კომერციული გამოყენება“);

1.7 **ავტოტრანსპორტის**, როგორც ტვირთის ტრანსპორტირებას, მის დატვირთვას, გადმოტვირთვას;

1.8 დადგენილი პარკირების წესების დარღვევის გამო **ავტოტრანსპორტის** საჯარიმო გადაყვანის/გადაადგილების დროს, ასევე, საჯარიმო სადგომზე განთავსებისას დაზიანება/განადგურება/დაკარგვა;

1.9 ნებისმიერ შემთხვევას, რომელიც მოხდა **ავტოტრანსპორტის** გასხვისების შემდეგ;

1.10 შემთხვევები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ **დაზღვევის ტერიტორიის** გარეთ;

1.11 **ავტოტრანსპორტის** აეროდრომის ან აეროპორტის ტერიტორიაზე მართვა/ყოფნას;

1.12 იონიზირებულ რადიაციას, ბირთვულ ან სხვა სახის მავნე ნარჩენებიდან მიღებულ რადიაციას და დაბინძურებას; რადიოაქტიური, ფეთქებადი, ბირთვული ნივთიერების შემცველი აირის ბუნებრივი მდგომარეობის ცვლილებას;

1.13 რადიოაქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი ან სხვა საშიში ნივთიერებების ტრანსპორტირებას;

1.14 საომარ მოქმედებებს, მიუხედავად იმისა ომი გამოცხადებულია, თუ – არა; დაპყრობას, სამოქალაქო ომს, მასობრივ არეულობას, აჯანყებას, დიქტატორულ რეჟიმს, საგანგებო მდგომარეობას; ტერორიზმს ან მის ნებისმიერ გამოვლინებას, ასევე სხვა ფორს-მაჟორულ გარემოებებს, დაზღვეული ფორს-მაჟორულ რისკების გარდა და თუ დამდგარი შემთხვევა შედეგად მოყვა ასეთ გარემოებებს;

1.15 სახელმწიფოს სახელით მოქმედი ნებისმიერი ორგანოს/უწყების გადაწყვეტილების თანახმად საკუთრების საზოგადო მფლობელობაში გადაცემა, კონფისკაცია ან ჩამორთმევა ან ამგვარის მცდელობას.

2. რა არის და როგორ განისაზღვრება სადაზღვევო თანხა და ფრანშიზა

2.1 **სადაზღვევო თანხა/ჯამური სადაზღვევო ლიმიტი** არის ფულადი თანხის ზღვრული ოდენობა, რომლის ფარგლებშიც **ჩვენ** გადაგიხდით **სადაზღვევო ანაზღაურებას**, თითოეული სადაზღვევო დაფარვის მიხედვით.

2.2 დადგენილი **სადაზღვევო თანხის/ჯამური სადაზღვევო ლიმიტის** ფარგლებში **პოლისით** გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ქველიმიტი:

- თითოეული რისკისათვის;
- თითოეული/ცალკეული **სადაზღვევო შემთხვევისათვის**/ზიანისთვის ან/და თითოეული დაზარალებულისათვის.

2.3 თუ **სადაზღვევო შემთხვევის** ანაზღაურების შემდეგ, **თქვენს** მიერ დამატებითი **პრემიის** საფუძველზე არ მოხდება **სადაზღვევო თანხის/ჯამური სადაზღვევო ლიმიტის** აღდგენა, **სადაზღვევო თანხა/ჯამური სადაზღვევო ლიმიტი** შემცირდება ანაზღაურებული თანხის ოდენობით.

2.4 **ფრანშიზა** წარმოადგენს თანხის იმ ოდენობას, რომელიც აკლდება მთლიან ანაზღაურებას და რომელზეც **ჩვენ** არ ვართ პასუხისმგებელი.

- პირობითი **ფრანშიზა** – თანხობრივად გამოხატული პირობითი ზღვარი. თუ ზარალი ამ პირობით ზღვარზე ნაკლებია ან მისი ტოლია, **ჩვენ** მას არ ავანაზღაურებთ. თუ ზარალი აღემატება ამ პირობით ზღვარს, **ჩვენ** ავანაზღაურებთ ზარალს **ფრანშიზის** გამოკლების გარეშე;
- უპირობო **ფრანშიზა** – ის მინიმალური თანხა, რომელიც ყოველთვის გამოაკლდება ზარალის ოდენობას;
- თუ პოლისში **ფრანშიზის** ტიპი არ არის მითითებული, გამოიყენება უპირობო **ფრანშიზა**.

2.5 **ფრანშიზა** შესაძლოა განისაზღვროს როგორც ყველა, ისე ცალკეული სახის ზიანისათვის სხვადასხვა მოცულობით.

3. პრემიის გადახდა

3.1 **პრემიის** გადახდის გრაფიკი განისაზღვრება **თქვენი პოლისით.** პირველი შენატანის გადახდამდე **ჩვენ** თავისუფალი ვართ დაზღვევის **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

3.2 **ჩვენ** გიგზავნით **თქვენ** შეტყობინებას შეხსენების მიზნით **პრემიის** მომდევნო შენატანის გადახდის შესახებ SMS-ით **პოლისში** მითითებულ ტელეფონის ნომერზე. თუ მიუხედავად შეტყობინებისა, **პრემიის** გადახდა არ მოხდა, **პრემიის** გადახდის პერიოდის დარღვევის მანძილზე დამდგარი შემთხვევები ანაზღაურებას არ ექვემდებარება. **ჩვენი** გადაწყვეტილებით შეტყობინება შესაძლოა ასევე განხორციელდეს კომუნიკაციის სხვა საშუალებითაც (ელ. ფოსტა, ქაღალდის მატარებელი ან სხვა). კომუნიკაციის ნებისმიერ საშუალებას გააჩნია იგივე იურიდიული ძალა და წარმოშობს იგივე სამართლებრივ შედეგებს, რასაც ქაღალდის მატარებელზე განხორციელებული შეტყობინება.

3.3 მრავალწლიანი **პოლისის** შემთხვევაში, **ჩვენი** პასუხისმგებლობა დაზღვევის თითოეულ წელზე დაწყებული იქნება შესაბამისი წლისთვის **პრემიის/პრემიის** პირველი შენატანის გადახდისთანავე.

4. ცვლილება დაზღვევის ხელშეკრულებაში

4.1 **ჩვენ** გავცემთ **პოლისს თქვენს** მიერ **ჩვენთვის** წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე. **თქვენ** დაუყოვნებლივ უნდა შეგვატყობინოთ **ჩვენ** თუ რაიმე ცვლილება არის **ჩვენთვის** მოწოდებულ ინფორმაციაში.

4.2 აუცილებელი წესით შეტყობინებას ექვემდებარება შემდეგი გარემოებები:

ა) ცვლილება **უფლებამოსილ მძღოლთა** ჩამონათვალში;
ბ) **ავტოსაგზაო შემთხვევები უფლებამოსილი მძღოლების მონაწილეობით**;
გ) **ავტოტრანსპორტის** მოდიფიკაცია;
დ) ცვლილებები **ავტოტრანსპორტის** გამოყენების წესში;
ე) კორესპონდენციის მისამართის შეცვლა/**ავტოტრანსპორტის** ღამის პარკირების ძირითადი ადგილის ცვლილება.

4.3 შეტყობინების მიღებისთანავე **ჩვენ თქვენ** შეგატყობინებთ **ჩვენს** პოზიციას დაზღვევის გაგრძელებასთან დაკავშირებით. **ჩვენ** შეგვიძლია გავაუქმოთ **პოლისი** შესაბამისად გაუქმების პირობებისა, შევცვალოთ **თქვენი პოლისის** პირობები ან მოვითხოვოთ **თქვენგან** დამატებითი **პრემიის** გადახდა.

4.4 ნებისმიერი ცვლილება **დაზღვევის ხელშეკრულებაში** კეთდება წერილობითი ფორმით და შედის ძალაში **ჩვენსა** და **თქვენს** მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

4.5 **ჩვენთვის** ცვლილებების შესახებ შეუტყობინებლობა **ჩვენ** გვაძლევს უფლებას უარი ვთქვათ **სადაზღვევო ანაზღაურების** გაცემაზე.

5. სადაზღვევო ხელშეკრულების შეწყვეტა/გაუქმება:

5.1 **სადაზღვევო ხელშეკრულება** შეიძლება შეწყდეს წინასწარი 3 დღიანი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

- **ჩვენი** ინიციატივით **სადაზღვევო ხელშეკრულების** შეწყვეტისას **ჩვენ** გიბრუნებთ **გამოუმუშავებელ პრემიას** დარჩენილი ვადის პროპორციულად **დაზღვევის პერიოდის** დასრულებამდე.

- **თქვენი** ინიციატივით **სადაზღვევო ხელშეკრულების** შეწყვეტისას **ჩვენ** გიბრუნებთ **გამოუმუშავებელ პრემიას** დარჩენილი ვადის პროპორციულად **დაზღვევის პერიოდის** 2 თვის **გამოუმუშავებელი პრემიის** გამოკლებით.

5.2 თუ შეწყვეტის მომენტისათვის განცხადებული/ანაზღაურებელი იყო **სადაზღვევო შემთხვევები, გამოუმუშავებელი პრემია** დაბრუნებას არ ექვემდებარება.

5.3 იმ შემთხვევაში, **თუ დაზღვევის ხელშეკრულების** შეწყვეტის მომენტისათვის, დასაბრუნებელი **პრემია** ნაკლებია **თქვენს** დავალიანებაზე **ჩვენს** მიმართ, **თქვენ** ვალდებული ხართ გადაგვიხადოთ სხვაობა.

5.4 **თქვენი** ინიციატივით **სადაზღვევო ხელშეკრულების** შეწყვეტისას, შესაბამისი წერილობითი შეტყობინების **ჩვენთვის** წარმოდგენისთანავე, წყდება **ჩვენი** ვალდებულება ავანაზღაუროთ წერილობითი შეტყობინების წარმოდგენიდან **სადაზღვევო ხელშეკრულების** შეწყვეტის პროცედურის დასრულებამდე დამდგარი შემთხვევები თუნდაც **სადაზღვევო ხელშეკრულება** ითვალისწინებდეს ამგვარი შემთხვევის ანაზღაურების პირობას.

6. სადაზღვევო აქტი

ჩვენ ვალდებული ვართ, შევადგინოთ სადაზღვევო აქტი 10 დღის ვადაში იმ მომენტიდან, როდესაც მივიღებთ **თქვენგან სადაზღვევო შემთხვევის** გარემოებების, ზიანის ოდენობისა და **ჩვენი** ვალდებულების წარმოშობის განსაზღვრისა და დადგენისათვის ყველა აუცილებელ დოკუმენტსა და ინფორმაციას, როგორც ამას წინამდებარე პირობები მოითხოვს.

7. თქვენი ვალდებულებები/როგორ მოვიქცეთ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

7.1 **თქვენ ვალდებული ხართ:**

- დაუყოვნებლივ გამოიძახოთ საპატრულო პოლიცია შემთხვევის ადგილზე და მიიღოთ ყველა ზომა, რათა პატრულის მოსვლამდე შენარჩუნებულ იქნას **ავტოსაგზაო შემთხვევის** ხდომილების სახე. ამასთან, გაჩერებული **ავტოტრანსპორტის** დაუდგენელი პირის ან დაუდგენელ ვითარებაში დაზიანების/განადგურების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ დაგვიკავშირდეთ **ჩვენ** და არ დაძრათ **ავტოტრანსპორტი** შემთხვევის ადგილიდან **ჩვენი** წარმომადგენლების მოსვლამდე და მათ მიერ სიტუაციის შესწავლამდე (შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ფოტოგრაფირება);

- მიიღოთ ყველა ზომა, რათა უზრუნველყოთ **ჩვენი** რეგრესული მოთხოვნა მესამე პირების მიმართ, რომლებიც პასუხს აგებენ **სადაზღვევო შემთხვევის** შედეგად მიყენებულ ზიანზე, რადგან გავცემთ რა **სადაზღვევო ანაზღაურებას**, **ჩვენს** მიერ გაცემული თანხის ფარგლებში **ჩვენზე** გადმოდის ის მოთხოვნის უფლება, რომელიც **თქვენ** გაგაჩნიათ ზარალის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის/ბრალეული მხარის მიმართ. იმ შემთხვევაში, თუ **თქვენი** მიზეზით **ჩვენ** ვერ ვისარგებლებთ რეგრესული მოთხოვნით, **ჩვენ** უფლებამოსილი გავხდებით, უარი განვაცხადოთ **სადაზღვევო ანაზღაურებაზე**, ხოლო თუ ასეთი ანაზღაურება უკვე გაცემულია, უკან მოვითხოვოთ თანხის დაბრუნება;

- დაუყოვნებლივ გვაცნობოთ **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომის შესახებ აი სი ასი-სტანსის 24-საათიანი ტელეფონის ნომერზე +995 32 2203333, ხოლო 3 დღის განმავლობაში მოგვაწოდოთ წერილობითი შეტყობინება **სადაზღვევო შემთხვევის** შესახებ;

- მოგვაწოდოთ კომპეტენტური ორგანოების მიერ **სადაზღვევო შემთხვევასთან** დაკავშირებით გაცემული ყველა საჭირო დოკუმენტი;

- გაგვიწიოთ დახმარება **სადაზღვევო შემთხვევის** მიზეზებისა და შედეგების დადგენაში **თქვენი** შესაძლებლობების ფარგლებში;

- მოგვაწოდოთ შემდეგი დოკუმენტები:

  ა) წერილობითი შეტყობინება **სადაზღვევო შემთხვევის** შესახებ;
  ბ) **პოლისის** ორიგინალი;
  გ) **ავტოტრანსპორტის** სარეგისტრაციო მოწმობა;
  დ) იმ პირის მოწმობა, რომელიც მართავდა **ავტოტრანსპორტს სადაზღვევო შემთხვევის** მომენტში;
  ე) ცნობა პოლიციიდან მომხდარის შესახებ (შემთხვევის დადგომაზე პასუხისმგებელი პირის მითითებით);
  ვ) წერილობითი მოთხოვნა ზარალის ანაზღაურებაზე;
  ზ) საბანკო რეკვიზიტები;
  თ) ცნობა მძღოლის ალკოჰოლურ, ნარკოტიკულ ან ტოქსიკურ ნივთიერებათა ზეგავლენის ქვეშ ყოფნის ფაქტის დადგენის თაობაზე.

7.2 ავტოტრანსპორტის ძარის დაზღვევისას თქვენ, ასევე, ვალდებული ხართ:

- მიიღოთ ყველა შესაძლებელი და მიზანშეწონილი ზომა **ავტოტრანსპორტის** გადარჩენის, შემდგომი დანაკარგის ან ზიანის თავიდან ასაცილებლად და/ან შესამცირებლად;

- არ დაიწყოთ **ავტოტრანსპორტის** შეკეთება, სანამ **ჩვენი** წარმომადგენელი არ დაათვალიერებს **ავტოტრანსპორტს** და **ჩვენგან** არ მიიღებთ შესაბამის წერილობით დასტურს შეკეთების დაწყებაზე;

- მოგვაწოდოთ შემდეგი დამატებითი საბუთები / მტკიცებულებები:

  ა) **ავტოტრანსპორტის** გატაცებისას სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დამადასტურებელი დოკუმენტი, მოწმეების სახელი, გვარი, საკონტაქტო დეტალები, პირადობის მოწმობის ნომერი;
  ბ) **ავტოტრანსპორტის** გარეგანი დაზიანებისას შემთხვევის ხასიათიდან გამომდინარე: ცნობა საპატრულო პოლიციიდან **ავტოსაგზაო შემთხვევის** შესახებ / ვანდალიზმის შესახებ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დამადასტურებელი დოკუმენტი / ცნობა ჰიდრომეტცენტრიდან ამინდის შესახებ.

7.3 **მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევისას თქვენ, ასევე, ვალდებული ხართ:**

- დროულად შეგვატყობინოთ მესამე პირის დაზიანებული ქონების დათვალიერების/ექსპერტიზის ჩატარების დრო და ადგილი (მის შეკეთებამდე) და ზარალის ოდენობის განსაზღვრისა და ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნით მოგვცეთ საშუალება ჩავატაროთ დამოუკიდებელი ექსპერტიზა;

- სისტემატურად შეგვატყობინოთ შემთხვევის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების კვლევის შესახებ და, აგრეთვე, მიიღოთ მონაწილეობა ასეთ გამოკვლევაში;

- მიიღოთ ყველა ზომა იმისათვის, რომ დაზარალებულმა მხარემ, **ჩვენს** მიერ ზარალის ანაზღაურებაზე მოთხოვნის განხილვამდე, არ მიმართოს სასამართლოს;

- საჭიროების შემთხვევაში, გადმოგვცეთ **ჩვენ** ან **ჩვენს** მიერ მითითებულ პირს შემდეგი უფლებები:

  ა) წარმოგადგინოთ **თქვენ/დაზღვეული** პირი სასამართლო პროცესში, ყველა პროცესუალური უფლებამოსილებით, ქონებრივ მოთხოვნებზე პასუხისმგებლობის აღიარების (სარჩელის ცნობის) უფლების ჩათვლით;
  ბ) ვაწარმოოთ მოლაპარაკებები დაზარალებულ პირებთან და მათ წარმომადგენლებთან.

- **ჩვენი** წერილობითი თანხმობის გარეშე არ აღიაროთ მესამე პირის მოთხოვნა ზარალის ანაზღაურებაზე, არ აიღოთ ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილების ვალდებულება და არ აანაზღაუროთ მიყენებული ზიანი;

- მოგვაწოდოთ შემდეგი დამატებითი დოკუმენტები:

  ა) თითოეული დაზარალებულის სახელზე შედგენილი აქტი, რომელიც დაკავშირებულია **ავტოსაგზაო შემთხვევასთან**;
  ბ) სამედიცინო დასკვნა და სხვა მსგავსი დოკუმენტები მესამე პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული დაზიანების სიმძიმისა და ხასიათის ან მისი გარდაცვალების მიზეზის შესახებ. აგრეთვე, ინფორმაცია ზიანის დადგომის მომენტისათვის დაზარალებულის ალკოჰოლურ, ნარკოტიკულ ან ტოქსიკურ ნივთიერებათა ზეგავლენის ქვეშ შესაძლო ყოფნის შესახებ;
  გ) ცნობა გარდაცვალების შესახებ და მემკვიდრეობის დამადასტურებელი საბუთები (დაზარალებული პირის სიკვდილის შემთხვევაში);

დ) საბუთები, რომლებიც ადასტურებენ მესამე პირთა მიმართ მიყენებული ზიანის კომპენსაციისათვის გაწეულ ხარჯებს;

ე) სოციალური დაზღვევის ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ დაზარალებულის ან მისი მემკვიდრეებისათვის სავალდებულო სოციალური დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად განსახორციელებელი გადახდების ოდენობას;

ვ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, სადაც დაფიქსირებულია **თქვენს** მიერ მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის ოდენობა, თუ პრეტენზიის განხილვა მოხდა სასამართლო წესით; ხოლო, თუ გადახდა განხორციელდა მხარეთა შეთანხმებით - ასეთი შეთანხმების ამსახველი წერილობითი დოკუმენტი.

7.4 მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევისას:

- **თქვენ** უნდა უზრუნველყოთ, რომ დაზარალებულმა პირმა:

  ა) დაუყოვნებლივ მიმართოს სამედიცინო დაწესებულებას და წერილობით შეგვატყობინოს შემთხვევის შესახებ;

  ბ) გაიაროს სამედიცინო გამოკვლევა **ჩვენს** მიერ დანიშნულ ექიმთან (თუ **ჩვენ** ამას საჭიროდ ჩავთვლით).

- დაზარალებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში, ერთი კვირის განმავლობაში უნდა შეგვატყობინოთ ამგვარის შესახებ.

- **თქვენ**, ასევე, უნდა მოგვაწოდოთ შემდეგი დამატებითი დოკუმენტები:

  ა) სამედიცინო დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს ზიანის მიყენების თარიღს და დიაგნოზს (სამედიცინო ფურცლის ასლი, სამედიცინო ექსპერტიზის მიერ შედგენილი დოკუმენტი, გარდაცვალების ცნობის დამოწმებული ასლი და ა.შ.);

  ბ) დაზარალებულების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

  გ) გარდაცვალების შემთხვევაში ცნობა გარდაცვალების შესახებ და მემკვიდრეობის დამადასტურებელი საბუთები;

  დ) ცნობა საპატრულო პოლიციიდან შემთხვევის შესახებ.

7.5 კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკისა და თავისებურების გათვალისწინებით, **ჩვენ** ვიტოვებთ უფლებას, საჭიროების შემთხვევაში, მოვითხოვოთ **სადაზღვევო შემთხვევასთან** დაკავშირებული დამატებითი დოკუმენტები ან კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკის გათვალისწინებით, შევამციროთ მოთხოვნილი დოკუმენტების ნუსხა. ამასთან, ხსენებული წარმოადგენს მხოლოდ **ჩვენს** უფლებამოსილებას და **თქვენს** მიერ მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში **ჩვენ** უფლებამოსილი ვართ უარი გითხრათ **სადაზღვევო ანაზღაურების** გაცემაზე.

8. როგორ ხდება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა

8.1 **ჩვენ** გადავიხდით **სადაზღვევო ანაზღაურებას ჩვენს** მიერ სადაზღვევო აქტის ხელმოწერიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, თუ ადგილი არა აქვს ანაზღაურების გადადებას, როგორც ამას წინამდებარე პირობების შესაბამისი სექცია ითვალისწინებს. ამასთან, ვანდალიზმის, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის რისკზე **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომისას **სადაზღვევო ანაზღაურება** გაიცემა არაუადრეს შემთხვევის დადგომიდან 1 (ერთი) თვისა.

8.2 **ჩვენ** უფლებას ვიტოვებთ გადავავადოთ **სადაზღვევო ანაზღაურების** თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, თუ დაზღვეული რისკის ხდომილების ფაქტთან დაკავშირებით **თქვენ/უფლებამოსილი მძღოლის/მოსარგებლის** მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

იმ შემთხვევაში, თუკი წინასწარი საგამოძიებო დოკუმენტაციით ირკვევა, რომ **სადაზღვევო შემთხვევა** ექვემდებარება ანაზღაურებას, **ჩვენ** უფლებამოსილნი ვართ გავცეთ **სადაზღვევო ანაღაურება** წინამდებარე პირობების შესაბამისად. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გამოძიების დასრულების შემდეგ შეიცვალა ვითარება, **ჩვენ** უფლებამოსილი ვართ მოვითხოვოთ არასწორად გადახდილი (ანაზღაურებული ზარალის) თანხის უკან დაბრუნება, ხოლო **თქვენ** ვალდებული ხართ უპირობოდ დააკმაყოფილოთ აღნიშნული მოთხოვნა.

8.3 **სადაზღვევო ანაზღაურების** ოდენობის გამოთვლა რეგულირდება წინამდებარე პირობების შესაბამისი დაზღვევის სექციების დებულებების მიხედვით.

8.4 **სადაზღვევო პრემიის** განვადებით გადახდის შემთხვევაში, **სადაზღვევო ანაზღაურება** შემცირდება გადაუხდელი **პრემიის** ოდენობით, თუ ადგილი აქვს **სადაზღვევო თანხის/ ჯამური სადაზღვევო ლიმიტის** ამოწურვას **სადაზღვევო ანაზღაურების** გადახდის შედეგად.

8.5 თუ **სადაზღვევო ანაზღაურების** მომენტისათვის **თქვენ** გერიცხებათ დავალიანება, **ჩვენ** უფლებამოსილი ვართ ანაზღაურების თანხიდან გამოვქვითოთ შესაბამისი დავალიანების თანხა.

9. სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარის თქმა

9.1 შემდეგი შემთხვევები არ ექვემდებარება ანაზღაურებას:

- დაზარალებულმა განზრახ ჩაიდინა კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც პირდაპირ კავშირშია **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომასთან;
- **თქვენს** მიერ წარმოდგენილი რისკის შეფასების/**სადაზღვევო შემთხვევის** აღიარების/ **სადაზღვევო ანაზღაურების** ოდენობის გამოთვლისათვის საჭირო ინფორმაცია (დოკუმენტები) არის არაზუსტი ან ყალბი;
- **თქვენ, ჩვენთან** წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე, გადაუხადეთ მესამე პირს კომპენსაცია ან აანაზღაურეთ სასამართლო ან/და სასამართლოს გარეშე დაცვის ხარჯები;
- **თქვენ** არ დაარეგისტრირეთ შემთხვევა საპატრულო პოლიციაში;
- გადააცილეთ **ჩვენს** მიერ მორიგი **პრემიის** / ტრანშის გადახდისთვის დადგენილ ვადას;
- **თქვენ** უარი განაცხადეთ უზრუნველყოთ **ჩვენი** კომპანიის წარმომადგენლის მონაწილეობაზე **სადაზღვევო შემთხვევის** გამომწვევი მიზეზების, მიყენებული ზიანის სიდიდისა და **სადაზღვევო შემთხვევასთან** დაკავშირებული სხვა მონაცემების მოკვლევა-მოძიებაში.

9.2 **ჩვენ** შეგვიძლია უარი განვაცხადოთ **სადაზღვევო ანაზღაურების** გაცემაზე იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ჰქონდა შემდეგ შემთხვევებს:

- **თქვენ** არ შეასრულეთ **თქვენზე** ამ **სადაზღვევო პირობებით** დაკისრებული ვალდებულებები;
- არ მოგვაწოდეთ **სადაზღვევო შემთხვევის** შესახებ ინფორმაცია (შეტყობინება) იმ ვადებში, რომელიც შეთანხმებულია **პოლისითა** და წინამდებარე პირობებით და აღნიშნული შეუტყობინებლობით არსებითად შეილახა **ჩვენი** ინტერესები;
- **თქვენ** არ წარმოგვიდგინეთ **ჩვენს** მიერ მოთხოვნილი ამ პირობებით გათვალისწინებული რომელიმე დოკუმენტი;
- **თქვენ** უარი განაცხადეთ იმ საბუთების **ჩვენთვის** გადმოცემაზე, რომლებიც საჭიროა ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ რეგრესული მოთხოვნის წასაყენებლად;
- **ჩვენს** მიერ დაზღვეულ ინტერესთან მიმართებაში ადგილი ჰქონდა ორმაგ დაზღვევას, მაგრამ **თქვენ** ასეთი ორმაგი დაზღვევის შესახებ **ჩვენთვის** ინფორმაცია არ მოგიწოდებიათ წერილობითი ფორმით.

9.3 **სადაზღვევო ანაზღაურების** გადახდაზე უარი წარგედგინებათ წერილობითი ფორმით, სადაც მოყვანილი იქნება ანაზღაურებაზე უარის გაცხადების დასაბუთებული მიზეზები.

10. დავების განხილვის წესი

წინამდებარე პირობების საფუძველზე განხორციელებულ დაზღვევასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დავები გადაწყდება მოლაპარაკებების გზით, ხოლო თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში – სასამართლოს მეშვეობით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. კონფიდენციალურობა

თქვენსა და **ჩვენს** მიერ ერთმანეთისთვის მიწოდებული ყველა ინფორმაცია (მიუხედავად მისი ზეპირი, თუ წერილობითი ფორმისა), რომელიც წარმოადგენს კომერციულ ან სხვა სახის ფასეულობას, ითვლება კონფიდენციალურად და წინასწარი შეთანხმების გარეშე არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირებს, თუ ეს დაკავშირებული არ არის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებასთან ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

მიუხედავად ზემოხსენებულისა, შესაბამისი **სადაზღვევო პოლისის** ხელმოწერით **თქვენგან** გვენიჭება უპირობო უფლება, **თქვენს** შესახებ **ჩვენს** ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია **თქვენთან** ყოველგვარი დამატებითი შეთანხმების გარეშე გადავცეთ სს „კრედიტინფო საქართველოს" (რეგისტრირებული მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წ. 14 თებერვალს, რეესტრის #06/5-51, საიდენტ. #204470740), რაც იწვევს **თქვენს** აღრიცხვას „კრედიტინფო საქართველოს" მონაცემთა ბაზაში და შპს „სადაზღვევო-საინფორმაციო ბიუროს" საინფორმაციო ბაზაში და ხელმისაწვდომს ხდის სხვა სადაზღვევო კომპანიებისათვის. ასევე, წინამდებარე ხელშეკრულება/პირობებზე ხელმოწერით **თქვენ** აცხადებთ თანხმობას, რომ **ჩვენ** ყოველგვარი დამატებითი თანხმობის გარეშე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზიდან მივიღოთ ინფორმაცია **თქვენს** (**მოსარგებლე, უფლებამოსილი მძღოლი**) მიერ საგზაო მოძრაობის სფეროში ჩადენილი სამართალდარღვევების შესახებ.

სექცია VI. დამატებითი დაფარვები

აქსესუარები
თუ **პოლისით** შეძენილი გაქვთ დაფარვა **„აქსესუარები"** და **სადაზღვევო პერიოდის** მანძილზე მოხდა **აქსესუარების** დაკარგვა/დაზიანება ქურდობის/ქურდობის მცდელობის/ვანდალიზმის შედეგად, **ჩვენ** დავფარავთ **თქვენს** მიერ ანალოგიური **აქსესუარების** შეძენაზე გაწეულ ხარჯებს 1500 აშშ დოლარის ერთჯერადი ლიმიტის ფარგლებში ნულოვანი **ფრანშიზით**.

კომფორტი
მიუხედავად ამ პირობების V სექციაში არსებული მოთხოვნებისა, თუ პ**ოლისით** შეძენილია დაფარვა „კომფორტი", შემდეგ დებულებებს ენიჭება უპირატესობა:

- **ავტოტრანსპორტის** ძარის დაზღვევის სექციის მიხედვით ზარალის დარეგულირებისას სადაზღვევო თანხის 5%-ის ფარგლებში **თქვენ** არ გჭირდებათ დაზიანების შემთხვევისას პოლიციის განყოფილებაში რეგისტრაცია და პოლიციიდან ცნობის წარმოდგენა შემთხვევის გარემოებებისა და მიზეზების თაობაზე.
- **ჩვენ** გაგიწევთ დოკუმენტების შეგროვებაში დახმარებას, თუ ზარალის ოდენობიდან გამომდინარე **თქვენ** დაარეგისტრირეთ ზარალი პოლიციაში დაზღვევის პირობების V სექციის მოთხოვნების შესაბამისად.
- თუ **სადაზღვევო შემთხვევის** შედეგად **ავტოტრანსპორტი** ვერ გადაადგილდება ან დგას საჯარიმო სადგომზე, **ჩვენი** წარმომადგენელი მიგიყვანთ სახლში შემთხვევის ადგილიდან თბილისი +15 კმ-ის რადიუსის ფარგლებში.

Lucky way
თუ **პოლისით** შეძენილი გაქვთ დაფარვა „Lucky way“:
მე-V სექციაში გათვალისწინებული **ახალგაზრდა/გამოუცდელი მძღოლის** ბრალით დამდგარ შემთხვევებზე გამონაკლისი არ გამოიყენება.

მთელი ოჯახი საჭესთან
თუ **პოლისით** შეძენილი გაქვთ დაფარვა „მთელი ოჯახი საჭესთან“:
გამონაკლისი **ახალგაზრდა/გამოუცდელი მძღოლის** ბრალით მომხდარ შემთხვევებზე არ მოქმედებს, თუმცა ასეთი შემთხვევებისთვის გამოიყენება სპეციალური აგრეგირებული **ფრანშიზა** ზარალის 20%, მინიმუმ $ 500.

მოგზაური
თუ **პოლისით** შეძენილია დაფარვა „მოგზაური“ **თქვენთვის** დამატებით იფარება:

- პირადი ნივთების ქურდობა **ავტოტრანსპორტიდან** 1000 აშშ დოლარის ლიმიტის ფარგლებში;
- სარკეების და შუშების დაზიანება ნულოვანი ფრანშიზით.

სერვისი +
თუ **პოლისით** შეძენილია დაფარვა „სერვისი +“, **თქვენ** გაქვთ უფლება **სადაზღვევო პერიოდში** შემდეგი მომსახურებებით უფასო სარგებლობაზე:

- თუ მგზავრობისას გაგიფუჭდათ **ავტოტრანსპორტის** ძრავი, **თქვენთან** მოვა ევაკუატორი და გადაიყვანს **ავტოტრანსპორტს თქვენს** მიერ მითითებულ ადგილზე (საქართველოს ფარგლებში), ან დაგეხმარებიან მის დაქოქვაში და **თქვენ** თავად განაგრძობთ მგზავრობას.
- თუ **თქვენ** გაგიჩერდათ **ავტოტრანსპორტი** საწვავის უქონლობის გამო, **თქვენ** გადაიხდით საწვავის საფასურს ავტოგასამართ სადგურებზე არსებული ფასის მიხედვით და **თქვენ** უსასყიდლოდ მოგიტანენ მას.
- თუ **თქვენი ავტოტრანსპორტი** მოხვდა საჯარიმო სადგომზე **სადაზღვევო შემთხვევის** გამო, **ჩვენ** ვიხდით **თქვენთვის** ტაქსის მომსახურების საფასურს დღეში 15 ლარის ფარგლებში **თქვენი ავტოტრანსპორტის** საჯარიმო სადგომზე ყოფნის განმავლობაში, მაქსიმუმ ორი კვირის განმავლობაში.

სტიქია
თუ **პოლისით** შეძენილი გაქვთ დაფარვა **„სტიქია“ ავტოტრანსპორტის** სტიქიის შედეგად **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომისას, **ჩვენ** ავანაზღაურებთ **თქვენი ავტოტრანსპორტის** შეკეთების ხარჯს ნულოვანი **ფრანშიზით**.

Relax
თუ თქვენი **პოლისით** შეძენილია დაფარვა „Relax“:

- **უფლებამოსილ მძღოლად** ჩაითვლება ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს მოქმედი მართვის მოწმობა და აკმაყოფილებს მინიმალური გამოცდილების და ასაკის მოთხოვნებს, მიუხედავად იმისა, მიუთითეთ **თქვენ** იგი გრაფაში **უფლებამოსილი მძღოლები**, თუ - არა.
- **დაზღვევის პერიოდის** მანძილზე **თქვენ** გეკუთვნით მძღოლის მომსახურება გამოძახებით წელიწადში 12-ჯერ. ერთ წელიწადზე ნაკლები **სადაზღვევო პერიოდის** შემთხვევაში - შესაბამისად ნაკლები რაოდენობით. მძღოლის მომსახურება გამოძახებით ნიშნავს, რომ **თქვენი ავტოტრანსპორტი** გამართულ მდგომარეობაშია, მაგრამ **თქვენ** არ შეგიძლიათ მისი მართვა, **თქვენთან** გამოემგზავრება მძღოლი და **თქვენ** თქვენი **ავტოტრანსპორტით** მიგიყვანთ **თქვენს** მიერ მითითებულ ადგილას თბილისიდან +15 კმ-ის რადიუსის ფარგლებში.

Relax +
თუ **პოლისით** შეძენილი გაქვთ დაფარვა „Relax+“:

- **უფლებამოსილ მძღოლად** ჩაითვლება ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს მოქმედი მართვის მოწმობა და ავმაყოფილებს მინიმალური გამოცდილების და ასაკის მოთხოვნებს, მიუხედავად იმისა, მიუთითეთ თქვენ იგი გრაფაში **უფლებამოსილი მძღოლები**, თუ - არა.
- **სადაზღვევო პერიოდის** მანძილზე **თქვენ** გეკუთვნით მძღოლის მომსახურება გამოძახებით წელიწადში 12-ჯერ. ერთ წელიწადზე ნაკლები **სადაზღვევო პერიოდის** შემთხვევაში - პროპორციულად ნაკლები რაოდენობით. მძღოლის მომსახურება გამოძახებით ნიშნავს, რომ **თქვენი ავტოტრანსპორტი** გამართულ მდგომარეობაშია, მაგრამ **თქვენ** არ შეგიძლიათ მისი მართვა, **თქვენთან** გამოემგზავრება მძღოლი და **თქვენ** თქვენი **ავტოტრანსპორტით** მიგიყვანთ **თქვენს** მიერ მითითებულ ადგილას თბილისიდან +15 კმ-ის რადიუსის ფარგლებში.
- **ავტოტრანსპორტის** დაზღვევის სექციის მიხედვით ზარალის დარეგულირებისას სადაზღვევო თანხის 5%-ის ფარგლებში **თქვენ** არ გჭირდებათ დაზიანების შემთხვევაში პოლიციის განყოფილებაში რეგისტრაცია და პოლიციიდან ცნობის წარმოდგენა შემთხვევის გარემოებებისა და მიზეზების თაობაზე.
- **თქვენ** უზრუნველყოფილი ხართ სახლში მიყვანის მომსახურებით თბილისიდან +15 კმ რადიუსის ფარგლებში, თუ **სადაზღვევო შემთხვევის** გამო **ავტოტრანსპორტით** გადაადგილება შეუძლებელია ან იგი საჯარიმო ავტოსადგომზეა განთავსებული.

VIP სერვისი
თუ **პოლისით** შეძენილია დაფარვა „VIP სერვისი“, **თქვენ** გაქვთ **სადაზღვევო პერიოდში** შემდეგი მომსახურებით სარგებლობის უფლება:

- თუ მგზავრობისას გაფუჭდა **ავტოტრანსპორტის** ძრავი, **თქვენთან** მოვა ევაკუატორი და უფასოდ გადაიყვანს **ავტოტრანსპორტს თქვენს** მიერ მითითებულ ადგილზე (საქართველოს ფარგლებში), ან დაგეხმარებიან მის დაქოქვაში და **თქვენ** თავად განაგრძობთ მგზავრობას.
- თუ **თქვენი ავტოტრანსპორტი** გაჩერდა საწვავის უქონლობის გამო, **თქვენ** გადაიხდით საწვავის საფასურს ავტოგასამართ სადგურებზე არსებული ფასის მიხედვით და **თქვენ** უსასყიდლოდ მოგიტანენ მას.
- **ავტოტრანსპორტის** ნაწილობრივ დაზიანებისას მისი შეკეთების აუცილებლობის შემთხვევაში, **თქვენი ავტოტრანსპორტის** ასაკის მიუხედავად მისი შეკეთება განხორციელდება ავტორიზებულ სერვის-ცენტრში, და ცვეთის კოეფიციენტის დაქვითვის გარეშე.
- ფულადი დარეგულირების არჩევის შემთხვევაში გადახდა მოხდება ყველა დოკუმენტის შეგროვებიდან 7 დღის განმავლობაში.
- თუ **თქვენი ავტოტრანსპორტი სადაზღვევო შემთხვევის გამო** მოხვდა საჯარიმო სადგომზე, ან **ჩვენ** ვახორციელებთ მის შეკეთებას, **ჩვენ** ვქირაობთ **თქვენთვის** იგივე კლასის **ავტოტრანსპორტს ჩვენი** პარტნიორი სააგენტოებისაგან **თქვენი ავტოტრანსპორტის** საჯარიმო სადგომზე ყოფნის/შეკეთების პერიოდის მანძილზე, ოღონდ, არაუმეტეს 2 კვირისა.

ნებისმიერი გაუგებრობის ან პრეტენზიის შემთხვევაში გთხოვთ მიმართოთ აი სი ასისტანსის ცხელ ხაზს: +995 32 2203333.